



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი
საგანმანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგია“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: პროფესორი ვლადიმერ მარგველაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წევრები:

ელენე გიგინეიშვილი; საქართველოს უნივერსიტეტი

თბილისი
2022

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის, სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა ფუნქციონირებს საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 2 დეკემბრის N43 გადაწყვეტილების შესაბამისად. პროგრამა ხორციელდება ავტორიზებულ რეჟიმში.

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობის მონიტორინგის შედეგად საბჭოს გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება.

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-2 მუხლი პირველი, მე-15 და 21-ე პუნქტების შესაბამისად შესაბამისად, დაწესებულებას დარჩენილი რეკომენდაციების შესასრულებლად განესაზღვროს 60 დღის ვადა. მოცემული დასკვნა შესრულებულია საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასების მიზნით დანიშნული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში. რეკომენდაციების გათვალისწინებით, შეფასდა ავტორიზაციის სტანდარტების მხოლოდ 4.1 და 4.2 კომპონენტები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები (ინგლისურენოვანი)

რჩევები

საუკეთესო პრაქტიკები

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი		შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.1	უსდ-ის მისია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.2	სტრატეგიული განვითარება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.	უსდ-ის პერსონალი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.1	პერსონალის მართვა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.1	კვლევითი საქმიანობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.1	მატერიალური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.3	საინფორმაციო რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.4	ფინანსური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სახელი, გვარი (თავმჯდომარე): ვლადიმერ მარგველაშვილი



2. წევრი: ელენე გიგინეიშვილი



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა

- უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.
- უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ იქნა სტომატოლოგიის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი ღონისძიებების გეგმა:

1. პროფესორ-მასწავლებლებისათვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების მექანიზმის უზრუნველყოფა;
2. ერთობლივ საგრანტო პროექტებზე მუშაობა, როგორც ადგილობრივ ისე საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან. სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობისთვის დარგის აღიარებული მეცნიერების მოწვევა და ცოხილ სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობა;
3. საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვა და გაცვლითი პროგრამის სპექტრის გაფართოვება, უცხოელ და ადგილობრივ პარტნიორებთან მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბება, ცნობადობის გაზრდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ;

- 4.სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების განვითარება (ლაბორატორიების სამომავლო განვითარების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს უნივერსიტეტის ლაბორატორიის სამეცნიერო-დანადგარებითა და საჭირო ტექნიკით აღჭურვას, რაც გაუადვილებს სტუდენტს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადრმაგებას).
- 5.თემატური სემინარების და ტრენინგების ორგანიზება. მომზადდება ყოველწლიური გრაფიკი, სადაც წინასწარ დაიგეგმება და მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახდება ინფორმაცია დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისად აღჭურვილი სივრცეები/აუდიტორიები.
6. არსებული მემორანდუმების ანალიზი, პარტნიორების მოძიება პარტნიორებთან კვლევითი მიმართულების პროფილების შესაბამისი მემორანდუმების გაფორმება;
- 7.კვლევითი-საპროექტო წინადადების მომზადებისა და წარდგენის საკითხებში პერსონალის გადამზადება;
- 8.კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;
- 9.ფაკულტეტების კვლევითი პრიორიტეტების გამხვილება/ ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- 10.საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების და ლექციების ორგანიზება და განხორციელება.

2020 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ შერჩეული და დაფინანსებული პროექტებია:

- 1.პრეპარატ კამელინის ქიმიური შემადგენლობის შესწავლა და მისი გავლენა ორგანიზმის იმუნურ სისტემაზე.
- 2.პლასტმასის მოსახსნელი პროთეზის ბაზისის სადეზინფექციო საშუალებების კრიტიკული პარამეტრების შედარებითი დახასიათება.

2021 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ შერჩეული და დაფინანსებული პროექტია:

- 1.კვლევა ‘ ყბა-სახის ქირურგიაში გამოსაყენებელი მასალის (საქონლის ძაფი) დამუშავების ტექნოლოგიის სრულყოფა“.

2021 წელს თჰუ-ს კვლევებისა და განვითარების ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა „ 1 ონლაინ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერდისციპლინური კონფერენცია.

რა ენაზე ჩატარდა აღნიშნული აქტივობები ანგარიშში მითითებული არ არის. ინგლისური ენის შემთხვევაში ვთვლით რომ რეკომენდაციები შესრულებულია.

შპს ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ იქნა წარმოდგენილი სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის საჭირო კლინიკებთან განახლებული მემორანდუმი/ხელშეკრულებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- „სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე (ინგლისურენოვანი) განხორციელებული მონიტორინგის შედეგად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე შპს თბილისი ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში“.
- კონტრაქტორ კლინიკებთან გაფორმებული 1 ხელშეკრულება და 5 მემორანდუმი განახლებული ვადებით.

რეკომენდაციები:

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

„სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე (ინგლისურენოვანი) განხორციელებული მონიტორინგის შედეგად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე შპს თბილისი ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშში პერსონალის ხელშეწყობის მიზნით წრმოდგენილია შემდეგი აქტივობები:

- 2021 წლის ივლისში აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა სემინარი კვლევითი პროექტების დაგეგმვის, კვლევის კომერციალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე. დისკუსიის ფორმატში განხილულ იქნა კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები და გამოწვევები.
- ტრენინგი კლასტერულ აკრედიტაციაზე.

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად გაფორმდა მემორანდუმი თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტსა და თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრს შორის, ასევე გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციასა და თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს შორის.

მემორანდუმები ზემოთხსენებულთან წარმოდგენილი არ არის. არსებობის შემთხვევაში ვფიქრობთ რომ რეკომენდაციები გათვალისწინებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- „სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე (ინგლისურენოვანი) განხორციელებული მონიტორინგის შედეგად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე შპს თბილისი ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში“.
- მემორანდუმი ქიმიკოსთა ასოციაციასთან ასევე თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრთან არ არის წარმოდგენილი.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან